

310

1913



74
700

1440

ქართლ ჰარძი

ლიტერატურა,
ხელოვნება,
პოეზია.

ფასი 10 კ.

№ 1.

შოთა რუსთაველი.

პ. და ვ. ჯაფარიძენი.

F 310
1913



288 F

ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

014605 80640

ბ.ქ.

ტბაზე.

ს. აბაშელი.

თვალ-ღაჩრდილულ მძინარ ღამეს მზვარე უხსნის ვერცხლის ღიღებს.
 ცის გუმბათი მოუქარავს ვარსკვლავების თეთრ ყვავილებს.
 ჰაერს სძინავს. უძრავ ფიალებს სიო კოცნით დაკედომია.
 მთა ყურს უგდებს ვარსკვლავთ ჩურჩულს,—მღუმარ ფიქრით ცას სწვლობია.
 მიწა სიზმარს მოუხიბლავს, ცამ არ იცის რა დრო არის,—
 ეამის ისარს ჰფარავს ცაზე ვერცხლის როდნ სავეს მთვარის.
 ტბა მთვლეზავი სარკის მკერდზე აკაშკაშებს ღამის სამოსს,
 წყლით ანახსლეთ შუქის მარბაშს მოკრძალებით ჰვენს მიდამოს...


ნავი დადგა... და ნიჩაბი ატივტივდა მძინარ ტბაზე,
 დამფრთხალ ტალღებს ვეღვიძა მცურავ ნიჩბის რხევის ხმაზე.
 მეგობარო! ნავი დადგა, მე ნიჩაბი ტალღებს მივე,
 ნუ შეფაკრთობს ცელქი ზვირთი, მთვარის შუქზე მოლივლივე.
 შენი სახე სხივგამლილი ცის ჩვენებს ედარება!
 სულს მოვებსა შვების ფრთები, გულმა იგრძნო ნეტარება!
 საუკუნო ეამთა სრბოლას მოსწყდა წამის ნაკადული,—
 ამ წამშია სიყვარულის საიდუმლო დაფარული!
 ყური უგდე ტბის სარკეზე მთვარის სხივთა უცხო ეღერას,
 ყური უგდე შენს ნორჩ მკერდ ქვეშ გაჩქარებულ გულის ძვერას,—
 და მიენდე ტრფობის ჰიმნსა,—ცეცხლად გიქცევს გრძობის ტკივილს,
 უტყვი ღამე შეინახავს შვებით მართოლოვე სულის კივილს!..

...გრძნებით სავეს ღამის სახე შენს თვალეზში ჩამარხულა:
 ჰა, ცის კიდე და ტყის პირი, ჰა მთის თხემზე ღრუბლის ქულა!
 თვალ-ღაჩრდილულ ღამის ასულს, ვხედავ, მთვარე უხსნის ღიღებს,
 ცის გუმბათი მოუქარავს ვარსკვლავების თეთრ ყვავილებს.
 შენს თვალეზში ტბა იცინის, შივ ესჭერეთ ძეწნას თავდახრილსა,
 ელვად ესახე შივ გამომკრთალ წამწამებით ნაფრქვევ ჩრდილსა,
 ვხედავ: ნაპირს ქოლგად ჰხურავს ფარფაც ნისლის თეთრი ტილო
 და მთვარის შუქს ათამაშებს ტბის მართოლოვი მარმარილო!..

ს. აბაშელი

ქურნალი „ოქროს ვერძი“ ნიშნავს ორ ჰრექიანს: საუკეთესო მოთხრობა-

ზე და ლექსებსა. დაწერილებით შემდეგ ნომერში.



მისის დილა ხარობდა.

3. რუხაძე.

მისის დილა ხარობდა.
 ფოთოლს კოცნიდა ფოთოლი...
 ზამბახს ყურებზე ეყიდა
 მარგალიტები ობოლი.
 მთის ქოჩორ მზის სხივები
 დაქათქათებდენ ტრფობითა...
 და მოხიბლული ბულბულიც
 ტკბილათ ვალობდა გრძნობითა.
 სმენათ ქცეული მგოსანი
 ხელში ლამაზი ჩანვითა,
 ყურსა უგდებდა, ამბობდა,
 ტყვეთ ქმნილი უცხო ჰანვითა:
 „ჩიტო! გიხდება კაკეკი,
 ტკბილი ვალობა გშეენისო;
 ყვ საიდუილო ნეტავი
 ვიკოლდ შენი ენისო.“

მეც შენებრ ავკეკეცდები,
 ერის ბაღს დავამშვენებო;
 დაცემულს აღვაფრთოვანებ
 და ფეხზე ავაყენებო!
 წინ წავეუძღვები ვალობით
 სამოთხის დასახსნელად,
 დღეს რომ ავსულსა უპყრია,
 გვექმახის: „მოდი შევლადო!“

3. რუხე

შობა ჰანგისა.

იასაშანი.

მძიძე რამ ჰანგი აღმოხდა გულსა,—
 ეხლა ამშვენებს ჩემსა რვეულსა...
 შეყვარებულის კენესა ბულბულის,
 პასუხათ ქარზე შიშინი ტყისა,
 მუნჯური ენა მინდვრის ყვავილთა
 და გარიტრაზე ციალი მზისა,
 ქარი, გრივალი, ზღვა, ქარიშხალი,
 ღორბედი, ქვიშა, ბარი, სუღარა,
 ციხე, ჯაჭვები, ლოდნი, საფლავანი,
 ბასრი მახვილი; წყველა—მუქარა,
 ჯერ შეუმჩნევლათ ვაჟყვა გრძნობასა,
 გონების ფონზე გამოიხატა;
 კვალ და-კვალ სდია შეთანხმებულათ,
 შემდეგ ვადილდა,
 შემდეგ იმატა—
 და დაიწერა...
 მოეშვა გულსა:
 სიტყვა გიმოვსთქვი სწორი და წრფელი...
 მწვადე რომ იყო შობა ჰანგისა—
 თან ნეტარება აუწერელი.

შუშა
 1913 წ. აპრილი.

იასაშანი

ქალი და ხელოვნება.

ბ. ტაბაძე.

ხვეწილად მინდვის ბალახს მოზიბინე არხეც ქარი, —
თითქო აღერსს ვეცდრება და ჩურჩული ისმის წყნარი...

მაგრამ მალე ქარტყილათ გადაქცევა ცელქი ქარი,
გაიტაცებს ობოლ ყვავილს სწრაფ-უმიზნო ნიაღვარი.

გატაცებულ მგონის პანგებს გაგვივებით ისმენს ქალი
თითქო სურს რომ ამ პანგებში გარდაიქმნეს ძილ-გამყრთალი.

მაგრამ მალე ცელქი ქალი, ვით ყვავილებს თეთრი მტვერი, —
გაშორდება დაღლილ მგონსანს... მობეზრდება ყველაფერი.

მე მინახავს ყვავილებზე მოწავერდნე თრთის პეპელა.
აშრობს და სტლის ყვავილის გულს ისე ნაზათ, ისე ნელა.

მაგრამ მალე ყვავილის მტვერს კმაყოფილი მოსცილდება
ყვავილი სულს განუტყეებს, პეპელა კი პეპლათ რჩება.

ასე მგონის წრფელ სიმღერას ქალის ნაზი სევდა ბურავს,
სულ ქალი სევამ ამ სიმღერას, სანამ მთლად არ ამოსწურავს

ამაშრობს გრძობიერ გულს, საუკუნოთ მოსცილდება
სიმებს დასწყევტს საბარლო ქნარს და ქალი კი ქალად რჩება.

დავიღალე მე ამ ამბით... თქვენ მხატვრებო, თქვენც, მგონებო,
დაგრჩათ კიდევ ქალში რამე სანეტარო, საოცნებო?!

ბ. ტაბაძე

ნიმუშები გერმანიის ლიტერატურიდან.

ტენრიხ ტინა.

ბ. აბაშ-პირაძე.

მე მას ვერა დროს ვერ დავივიწყებ,
ამას მოწმობენ თვით მალა ტანი,
ვით მეკუთვნოდა მე ერთ ნეტარ დროს,
ეგ შენი სული და შენი ტანი.

ტანი ლამაზი, ტანი უმწიკლო,
კიდევ მინდოდა ერთხელ მენახა,
სული მე თვითონ საკმაო მქონდა,
სული თუ გინდა სულ დაგებარხა.

მე გაგიყოფდი ჩემ საკუთარ სულს,
რა მომეკვროდა ეგ შენი მკერდი,
ერთსახეობათ გადავიქცეოდით,
რა ჩემ უკვდავ სულს შენ ჩამოგებრდი.

კოლხიდაში.

ბატარა პოემები პროზად.

ბ. ტაბიძე.

X.

პირველი სვედა.

...ერთხელ შემხედა მან, მხოლოდ ერთხელ იმ შეხედვით, რომელსაც ნაპოლეონი ცეცხლით მონათვლას უძახდა.

პირველად ვკითხე მაშინ სამშობლო ცას, სად წავიდა ჩემი ბავშობის ლხენა და პირველად დატოვა ცამ უპასუხობა ჩემი კითხვა.

სად არ ვეძიე, სად, მე ის ღიმილი და ბოლოს დავრწმუნდი, რომ იგი არ განმეორდება, როგორც გვირგვინ მოხსნილი სიწმიდე.

...და ჩემ სულს ეწვია პირველი სვედა. პირველი სვედა, ბინდიანი, როგორც ოხტრა შუალამისას ლიბანის მთაზე კედრისა.

ნაღვლიანი, როგორც სიმღერა ყვეთელი ქარვის ფოთლების შემოდგომის ქარიშხლის ფრთებზე მოცეკვაეთა...

მოწყენილი, როგორც წეროების უკანასკნელი ძახილი.

პირველად მაშამ ამოიკითხა ჩემ თვალგეში სვედა, როცა ჭანდრაკს ვთამაშობდით და მაშინ მივხვდი რომ წასული სვედამ მოქარვა და უხილაფი ჯაჭვით გადაება მას მომავალი.

ჩემი სვედა მიაგავს სვედას ლეგენდის მოქანდაკისას, მარმალილოს რომ ენა ასწავლა ლ ბრინჯაოს სიყვარულის ალერსი მაგრამ ერთხელ რომ ძლიერ პირდაპირ შეხედა მზეს და შემდეგ მოჯადოებულს არ შეეძლო მარმალიოზე ნაგრძობის გადატანა და ამაში იყო ნათელი ტანჯვამისი სიკოცხლისა. ერთხელ შემხედა მან, მხოლოდ ერთხელ იმ შეხედვით, რომელსაც ნაპოლეონი ცეცხლით მონათვლას უძახდა

პირველად ვკითხე მაშინ სამშობლო ცას სად წავიდა ჩემი ბავშობის ლხენა და პირველად დატოვა ცამ უპასუხობა ჩემი კითხვა...

XI.

ყოფნის აღთქმა.

დაფიქრებულხართ როდისმე, რაზე მღერის ქარიშხალი შემოდგომის სუსხიან ღამეს, როცა დახურეთ დარაბები, რომ არ გაიგონოთ მისი ქვითინი, მაგრამ მაინც გესმით სახლის სახურავზე გამხმარი ხეების ტოტების ცეკვა, რომელიც ჯადოქარ-ქარიშხალს ფერხულში ჩაუბამს?..

დაფიქრებულხართ... გაიგეთ კიდევ, მაგრამ მაინც არ გინდათ რომ გაიგოთ, რადგან ის მღერის იმ ზეიად ველურ ენებაზე, რომელთანაც ჩვენი ენება ბავშობა გამოჩდება. და თქვენ გრცხვენით თქვენივე ბავშობისა.

ქარიშხლის სიმღერა გამოძახილია საუკუნოებში დაკარგული რომაელ სარდლის სიმღერისა, რომელიც მოგებულ ომის შემდეგ ფალერნის ღვინის თასსზე ანაკრონის სიმღერებს მღერის. ალერსის ლოდინში თრთის მხევალი და აქცევს ღვინოს... ქარიშხლის სიმღერა

გამოძახილია ომიდან დაბრუნებული ამორძლები სიმღერისა, რამელთა სისხლით დათქვი-
რულ ცხენებმა შაფრანის მთვარის სხივები მეწამულ ზეწარში გამოხვიეს.

ქარიშხლის სიმღერა—სუნთქვაა ცოდვის სარეცელზე ვნებით მთორავალ კლდოპატრასი
და ურიასტანის მიდამოებში დაკარგული სულამიტის საქმროს ძახილი...

დაუგდეთ ყური... განა არ გესმით...

შეაბნელ ღამეში, როგორ გულმწვავეთ უცივის იაზონს მეღე, იცის რომ შ რს არის
მაგრამ მაინც ეძახის, გული ვერ იტყვს გრძობის ნიაღვარს.. შეებნელ ღამეში პონტოფ-
რეს კოლი ელის ყრმა იოსებს ნილოსის ლერწმებში...

ქარიშხალი აცოცხლებს მითს... წასრულის ზვიადი ენების სიზმრებით რომ დაათროს
ადამიანი

ქარიშხლის ველურ სიმღერაში შენახულია დიონისეს მისტერიები.

დაუგდეთ ყური ქარიშხალს!...

დაივიწყეთ, თქვენით თავი, საკუთარი და სხვისი შებრალება დაივიწყეთ, ყველაფერი
და ყველაფერს გაიგებთ.

მწყემსის საღამურზე უფრო ნაზია, და მთით მომსკდარ ნიაღვარზე შრისხანე, ახალგაზ-
და ტანში სიცილი სისხლისა.

ღვინო გამოილია ფილაში და სათნობა დაეტყო სულს.

ყინვამ უსწრო მთებში გაზაფხულის წინამორბედს, მაგრამ აივსო ღვინით ფილა და გა-
ზაფხულის ღღესაწაულზე გვეძახის წინასწარმეტყველი:

ევონ, ოვოე სივგიის მოციქულს; გავიხაროთ ჩვენთანაა იგი...,

ქ. ქუთაისი. მაისი. 1913 წ.

ქ. ქუთაისი

იყავით მარტო.

სპა. კლდიაშვილი.

იყავით მარტო თუ გსურთ ამაღლდეთ და გა-
რემოს მწიკლმა და ტალახმა არ გააბინძუროს თქვენი
სიმშვენიერე... იყავით მარტო, ვით დაგვიანებული
ილქანი ბინდისას მოარული ლურჯ ზღაზღელ.

თქვენი თვლები ვერას იხილავენ ათას თვალ-
თა შორის, თუ არ სულის სიღრმეში... ჩაღრმავდით
და სინათლე დღისი მოიშორეთ სამუდამით, რომ
მის ავითმყოფობამ არ გადაგადვით უკურნებელი
სენი...

ჩამოწვა ღამე მძიმე კალთებით და ათასმა სულ-
მა იწყა ძებნა მიუწვდომელის... და ვერ პოებდენ
მას... ვერც ოდეს იხილავენ თუ არ იქ, რომელსაც
ვერვინ მიწვდება გარდა შენისა.

ვისაც გსურთ ამაღლდეთ და მზეს დაუტოლ-
დეთ—იყავით მარტო... ვისაც გსურთ სიღრმე და
გრძნობა—ჩაღრმავდით თქვენს სულში და იყა-
ვით მარტო...

მზე სულისა, უცხოველესი ცაზედ მოარულ მზე-
ზედ, გაგათბობთ თქვენ და შეგემისავთ ვარდის ფერ
სხივებით ..


სამყარო თქვენი იყიდის ათას სამყაროს მიწი-
სას და მზე თქვენი დაჩრდილავს მზეს ცისას. სამყა-
რო თქვენი დიდებული იქნება და ვერაა გრიგლი
ქვეყნისა ვერ შეიარხვეს თქვენ ყვავილთა ნახ ლე-
როთაც...

ზურმუხტი ღამეები დაბადე შენს სულში და
ფერ-შემქრათალი მთავრე გუნდი და გუნდ ვარსკვლა-
ვებით...

ყვავილოვანი მდელოები ვადმლებიან იქ და
ნიავე ნელი დაუალერსებს დაცვარულ ფოთლებს...
შენს სამთავროს დაათრობენ ღამაზი ტუჩები—
უტკბილესი ღვინოსა და თაფლზედ...

ყველა ამას შენ შექმნი სულის სიღრმეში, მო-
შორებული დღის ავითმყოფ სინათლეს...
ვისაც გსურთ შეება იპოვოთ—იყავით მარტო.

სურ-ხლოიაშვილი



„ვაიმე რომ ნამდელი!“

ლევო ქიანელი.

მართა რომ ვარ, ყოველთვის მოწყენილი ვარ.. დაჯავრებულნი.. ასე მეგონია, თითქო რაც ქვეყანაზე უბედურებაა მე მაწუხებთ თავის საზინელის სიმძიმით და ცუდს ყოფას განმაცდევინებს!.. რათქმა უნდა, ჩემი ფიქრები მაშინ „შავად მღელვარებენ“, როგორც პოეტები იტყვიან ხოლმე ასეთს შემთხვევაში.. ჩემდა დაუკითხავად მივაკუნებენ თავში ისეთი კითხვები, რომლებიც ვადაქრა, ვიცო, შეუძლებელია და რომლებზედაც კაცობრიობას გარკვეული პასუხი ვერ მიუცია.

— რა არის ცხოვრება?

— რა არის კაცია?..

თუმცა უნდა აღვიარო, რომ ბევრისაგან გამოგონია ბრძნული აზრები ასეთი კითხვების შესახებ. ზოგი შეიძლება, მართალიც იყოს, მაგრამ.. ჩემდა საუბედუროდ ჩემთვის კითხვა მაინც კითხვად რჩება. ისიც გამიგონია, რომ ასეთ ნაირად კითხვის დასმა შეუძლებელიაო, არა მეცნიერულიო და როგორც ასეთი სადაღ მოაზროვნე „ხალხს“ მერ უარყოფილიცო, მაგრამ... აკი ესთქვი, ჩემდა დაუკითხავად დამიკაუნებენა ხელს ეს კითხვები!! ქეშმარილად, მართლად დარჩენა მელსაყრელი არ არის ჩემთვის... ასეთ დროს მიხელებენ ხოლმე „შავი ფიქრები“ და, მდებრიოდ რომ ესთქვათ, ტყავს მაძრობენ!! ამიტომაც ხშირად ესერიობა ქალაქის ბაღში, სადაც მუდამ დადის ხალხი... სადაც ხშირად მუსიკასაც კი უყრავენ!.. განსაკუთრებით ბავშვები იქცევენ ჩემს ყურადღებას. ბალის ერთი კუთხე ამათ აქვთ დასაკუთრებული!..

მე თავისუფლად დავილაპარაკებ ბავშვებს, როცა მინდა. ისინიც ყოველთვის უბრალოდ და პირდაპირ მომივებენ ხოლმე... საქმე ისაა, რომ არც მე მჭირდება გაცნობა, ქულის მოხლით და ბოღნიშით მიმართვა და ათასი ასეთი რამე, ურომლი თორც დიდები უზღველად მომხალაგენ, არც ბავშვები შეუწულებიან და ყოველ სიტყვაზე დაფიქრებთან, რასაც დიდებში ვერ შეხვდებით... ცნობილია, რომ დიდები თითქმის ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ სხვანაირად მოგაჩვენონ თავი, ამისთვის ზოგიერთს წინდაწინ აქვს მოფიქრებული ყოველშემთხვევისათვის სიტყვა-პასუხი, ზოგიერთს კი მოფიქრებაც არ სჭირდება, — ბუნებად აქვს გადაქცეული თავის სხვანაირად მოჩვენება!.. ჭებს! ეს „დიდები“!

ეს „დიდები!“ რატომ არის, რომ ბავშვი — ეს თვით შევინება, ეს სულიერი და ხორციელი სიღამაზე — თავის წარბაცო და მომჯალღებელი წმინდა ბუნებით სრულიად ისობა? „დიდები“? ყოველი დიდი ერთ დროს ხომ ბავშვი იყო?!.. და მერე ნეტავ რად იცვლება ასე სასტიკად ადამიანი?!

ქალაქის ბაღში ერთს დღეს სრულიად მოულოდნელად შევხვდი ლიზას... დიდი ხანია რაც მე იგი არ მინახავს. ბავშვობისას კი მეგობრები ვიყავით. უერთმანეთოდ ვერ ვძღვდებით. წმინდა, უმანკო სიყვარულით გვიყვარდა, ერთმანეთრე. ლიზა ლამაზი იყო და მეტად ცოცხალი არსება. მისი ფართო თვალები მე ყოველთვის განწმენდილ ცის ლავარდს მომაგონებდენ... ლიზას თვალთა მზერა ჩემზე ისე მოქმედებდა, როგორც უსასწერო ლავიერდი შეზინდებისას... იგივე მოუნდამლობა, უძირკვედლობა, იგივე ახლობა, ნაზალერსა და იგივე გამოურკვეველ შორს გამჭურენ ფიქრთა აღძრა!! ლთაება იყო ლიზა... მერმეც, როცა ლიზას დავშორდი, არა ერთხელ მიფიქრია, რომ ლიზა ყოველ კაცისთვის უშუაგტი წყარო იქნებოდა ბედნიერებისა!.. შურიც ამამქრებოდა ხოლმე და გაგიფიქრებდი: — ნეტავი მას, უბაღლო ბედნიერს ვისაც შეიყვარებდა ლიზა მეტი?!

როცა ახლა დავინახე ლიზა ბალის სწორეთ იმ კუთხეში, სადაც განსაკუთრებით ბავშვები თავაშობენ, თავში გამიღვია: — სწორედ, ლიზა სწორედ აქ უნდა სერიობდეს! აქ, სადაც ბავშვებია, სადაც უბრალოობაა და სადაც დიდების ათას ბოროტეულეზას ადგილი არა აქვს!

— ნუ თუ შენ ხარ, ლიზა?!

— დედა ჩემო!.. იპოლიტ!.. ჩემი იპოლიტ!

ვიცილი, რომ ლიზა მაღალი არ გაიზღებოდა!.. მას ბავშური სახე შერჩენოდა თითქმის უცვლელად!.. თვალები იგივენი სრულიად იგივენი, მხოლოდ საღამოს ფერი ღანდს უფრო კიდევ გავლრმავებია ისინი!.. ისევ ის ბავშური ღმილილი, რომელიც მაისის მზიარულ განთიადისებრ ციალობს ხოლმე!.. ხელზე ვაკოცე ლიზას.

— სად დაიქარგე, რომ არსად სჩანდი, იპოლიტ!

— ამას მერე, მერე გეტყვი, ლიზა! შენ რასა ვგები? როგორ ხარ?.. ისევ ის ლიზა ხარ?

— ისევ, ისევ! მიუხედავად იმისა, რომ დავქმარვგილიდი!.. აი, დამაცა, იპოლიტ, ჩემს ქალიშვილს გაჩვენებ... უკვე სამი წლისაა!.. აქ დამყავს სასტიკი-

ნოდა!...—მიპასუხა ლიზამ და ბავშს მიმართა:—ცა-
 კუნია!.. მოდი ჩემთან! მოდი შენ გენაცვალე!..
 მოდი ძის განახებ!

ამ სიტყვებით ლიზა თითონ მივიდა ბავშვების
 ერთ ჯგუფთან და ერთი თეთრში ლამაზად გამო-
 წყობილი ბავშვი ჩემსენ წაპოყენა...

ცაკუნია, რომლის სახემ პირველ შეხედვისათა-
 ნავე მე დედა მისის ბავშვობა მომაგონა, ხელზე
 ავიყვანე და შუბლზე ვეამოვრე.

— ხომ ბედნიერი ხარ, ლიზა!.. ხომ კარვად
 ხარ?

— არა უშავს რა!.. კმაყოფილი ვარ... რამ-
 დენად შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა ადამიანის
 კმაყოფილება!... ლიზა ჩვეულებრივი, ბავშური გულ-
 უბრყვილობით ლაპარაკობდა. მე დავასკვენი, რომ
 ლიზა ბედნიერი და კმაყოფილი იყო.

— ქმარი?.. ვინ არის, ლიზა შენი ქმარი?

— ჩემი ქმარი, იპოლიტ, რკინის გზაზე მსა-
 ხურობს!.. კონტროლიორია!.. დროებით, რა თქმა
 უნდა... მალე სადღე მწიფო ეგზამენის ჩასაბარებლად
 წავა რუსეთში!

ჰმ... მაშ, კმაყოფილი ხარ, კმაყოფილი?..
 დიდად სასიამოვნოა, ჩემო ლიზა!.. შენი მშობ-
 ლები?..

ლიზა, ცაკუნია და მე ერთად წამოვედით ბაღის
 გასავალ კარებისკენ. მე კითხვას კითხვაზე ვუსვამდი ჩემს
 ძველს ბავშვობის მეგობარს. ისიც სხარტულად მი-
 პასუხებდა. ცაკუნია კი მიმხერდა თავის უმანკო ნა-
 თელი თვალებით, რომლებიც ერთობ წააგავდნენ
 დედისას.

ლიზამ მე თავისას მიმიპატყია.

ლიზას ბინა ოთხი ოთახიდან შედგებოდა. ერ-
 თი მათვანი გვექირავებინა ცოლქმარს. მდგმური
 ახალგაზდა კაცი იყო, საღდაც კერძო დაწესებულე-
 ბაში მოსამსახურე, მაღალი, ბეჭემში ფართო და ენერ-
 გიული სახის ბატონი. როცა ჩვენ სახლში შევე-
 დით, ის ზალაში იჯდა და სქელს შეკინძულს ჯურ-
 ნალს ათვლიდებდა. ულვაშები აწეული ქონდა და
 ახლად გაპარსულ პირის სახეზე უმარილი წიცხბო...
 ის შინაურულად იყო მოწყობილი. ჩვენს დანახვაზე
 ის ღმილით ადგა, ბოდიში მოიხიდა ლიზას წინა-
 ში, რომ მის ნებადართუვლად შესულიყო ზალა-
 ში. ლიზამ ჩვენ ერთიმეორე გავაცნო, რის შემდეგ
 მდგმურმა ცაკუნისა გაუცნია, წაუფათხის ხელი ლო-
 ყახე და თავის მორიდებულს და თავის დასუსტ დაკვირ
 ბოდიშით გავიდა ზალიდან თავის ოთახში.

ლიზას ბინა უბრალოდ, მაგრამ ლამაზად ქონ-
 და მოწყობილი... ზალის ერთ კუთხეში დაქირავე-
 ბული როიალი იდგა. კედელზე დიდი სარკე ეკიდა.
 სარკეს წინ კი სპარსული ნიბი იყო დავებული.

ლიზა მალე გაიჭრა მეორე ოთახში. მითხრა ახ-
 ლავე ჩის დაგაზაღებინებო. „ჩემი ვასიკოც მალე
 დაბრუნდებოდა და საღამო ერთად გავატაროთო!“

მე სურათებს დავუწყე თვლიდებოდა. ჯურნა-
 ლებს გადავხედე. გულში რაღაცა მიხარდა... მი-
 ხაროდა რომ ცხოვრება არც ისე ცუდი ყოფილა,
 როგორც მე მქონდა წარმოდგენილი. — ლიზა, ცა-
 კუნია და „ლიზას ვასიკო“ ისე მოქმედებდნენ ჩემ-
 ზე, რომ დამეჩინა შევი ფიქრები და ტკბილ გან-
 ცდათ მივეცი თავი.

ცოტა დაგვიანებით დაბრუნდა ლიზა. მას ში-
 ნაური ტანსაცმელი ჩაეცვა. ლიზა იმ ქალებს გუ-
 თენოდა, რომელთა შინაურულად, უბრალოდ გა-
 მოწყობა უფრო უხდებოდა.

საღამო იყო. დაღუული დღე ძლივს შლიდა
 ფრთებს. ლიზა და მე ვადებულ ფანჯარასთან დავ-
 სხედით. ლიზა თავის ვასიკოს სურათებს მიჩვენებდა.
 მე შევენატარდი სანდა და კეთილშობილური სახის
 ახალგაზდას, რომელიც მრავალ როგად იყო ვადა-
 ლებული. სხანდა, ლიზას ვატყვით უყვარდა ქმარი.

ჩვენს შორის ლაპარაკი კიდევ არ იყო გამუ-
 ლი, რომ მეზობელ ოთახიდან დაბალი, მაგრამ საა-
 მო ხმა გაისმა. ეს მდგმური მღეროდა რუსულს რო-
 მანს:

Еще одна моя мечтааа,—

Распльвать твои устааа!..

— ოჰ, რომ იცოდე, იპოლიტ, როგორ მომა-
 ბებრა ამ კაცმა თავი!..—გაჯავრებით და შესამჩნე-
 ვად სახეზე შეწითლებით სიქვა ლიზამ სიმღერის გა-
 განებაზე. — რამდენჯერ უთხარი ვასიკოს, ახლა არ
 გვეკირია მდგმური მეთქი, მაგრამ ის ისეთი კაცია,
 რომ ყოველთვის ერთიგება სხვის შეწუხებას!

— კარგი ხმა აქვს!.. შევნიშე ლიზას.

— სულ ამას მღერის, კმაწილი!.. ხშირად
 როიალზედაც უკრავს!.. ისედაც... ესეც რომ არ
 იყოს... მე არ მინდა სხვა იდგეს ოჯახში!.. დღითი
 ვასიკო ახლა საქმად შოულობს!

— კი, მაგრამ, შენი ვასიკო როდის დაბრუნ-
 დება, ლიზა?.. მე მისი ნიხვა ძალიან მინდა!

— აი, უნდა მოვიდეს სადღე არის!.. თუ ცხრა
 საათი ვადაილა, შემდეგ შეიძლება ძალიან გვიან
 დაბრუნდეს, ან დილაშდის... არ მოვიდეს!.. ამ
 მხრით მეტის მეტი ცუდი სამსახური!

... Мечты мои-и-и...

Уста твои-и-и!..

დილილინა კვლავ მდგმურმა...

— Какой онъ противный! — ურის ცქვეტიო სთქვა ლიზამ. ჩვენი თუ არა, სტუმრების მიანც ვრი- დებოდეს!.. მეზარება მაგისთანა კაცები!.. ჭკუა მზა- ტვა უბედური!!

ჩაიზე მიგვიწვია მოსამსახურე გოგომ. ჩვენ გა- ვედით სასადილო ოთახში. იქ უკვე ლამაზ ენთო.

— სთხოვე მდგმურს ჩაი მიირთვას — უბრძანა ლიზამ გოგოს. ჩვენ დაესხედით. ცოტა ხნის შემ- დგე კობტად გამოწყობილი ჩვენი ნაცნობი მდგმური მოლიზარი სახით შემოვიდა. ის გადამეტებულად მო- რიდებიანი იყო და თვალებს ძირს ხრიდა, რომ ჩვენ- თვის არ გაესწორებია.

— დაბრძანდით! — მიმართა მას ლიზამ...

მაღე მე და ლიზამ საუბარი გავჩაღეთ. გან- საკუთრებით ჩვენს წასრულს ვიგონებდით. მდგმუ- რი იჯდა ჩუბად. ცალი ყბით იღიმოდა და ჩვენს საუბარში არ ერეოდა. მე შევნიშნე, რომ ის მეტის მეტი ზღილობიანი თვდაქერლა, და მოატყვიე კა- ცი იყო...

მეთვე საათი სრულდებოდა და ვასიკო კი არ ჩანდა. მე შევწყუხდი, მაგრამ ლიზა მარწყმუნებდა, რომ ვასიკო მოვიდოდა.

მეთერთმეტე საათზე მდგმურმა ცალი ყბითაც მიატოვა ღიმილი და შესამჩნევად შეიკრა სახე. ლიზა კი განუწყვეტელად ეღერტულობდა. რამდენს გულუბრველობას, ჩემდამი სათნოებათ დამოკიდე- ბულებას იჩენდა იგი!..

„სწორედ, ჯერ კიდე ბავშოა ლიზა!.. ისევ ბავშვი!“ — ვფიქრობდი გულში და ჯერ კიდე ჩემი უქნობი ვასიკოს ბედნიერებით ვენდნირდებოდი.

ბოლოს რა კი ვასიკო არ მოვიდა, წასვლა განვიჩინებე. ლიზამ არ გაიძივა. ჩემი განცხადება წასვლის შესახებ პირდაპირ შეიწამა ლიზამ.

— ამაღამ უნდა დარჩე ჩვენსას!.. დილით, ვა- სიკოს რომ გავეცნობი, წახვალ!.. მით უმეტეს სა- დაც არის შუა ღამეა და შენც ცოტა შორს სდგა- ხარ!

მდგურს მოუთმენლობა დაეტყო. ის შეუწყვე- ტლად ამგვარდებდა პურის გულს მარცვლებათ. აღბათ თავის ოთახში უნდოდა გასვლა და მოსე- ნება, ხოლო მორცხვობის გამოამას ვერ ახერხებდა. დასასრულ ლიზამ დამარწყუნა, რომ ჩემი წასვლა ვასიკოს ეწყინებოდა, და მეც დავარჩი.

მდგური აღვა ბოდიში მოითხოვა. მიძმედ და-

გვიკრა თავი და გვიცა... ის უსათუოდ შეწყუხ- ბული იყო.

„იქნება ხვალ, შეიდ საათზე აქვს ასადგომი! საქმის კაცია!“ გავიფიქრე!

— აშენ ხანს ვერ მოიფიქრა წასვლა?!.. რა იყო, მუნჯავით, რომ იჯდა; შენი ჭირიმე!! ჩუმად მითხრა ლიზამ. სწორედ ისე, თითქო ბავშვობის დრო დაგვბრუნებოდა...

კიდე ცოტა ხანს ვისაუბრეთ და ლიზამ გან- კარგულება მოახდინა ჩემთვის ზალაში დავეგათ...

რ — ქო მყო

(შემდეგი იქნება.)

ტყვე.

ზალვა დაღიანი.

სალამურის ხმა ნაზათ იბნეოდა მთის მსუბუქ პაერში.

ნიავის უბიწო, უხილავი ლეჩაქი საამურ ზო- ლებათ დაქრიალდებდა ბაღნარ მთის ფერდობებს, ტურ- ფა ველ-მინდორს.

ბურქნართან ამოსული რაღაც მაღალ ლეროა- ნი ყვავილი ნარნარათ წელში ირხეოდა და თითქო თავი მოწონდა, როგორც ახალგაზდა, წერწყვიტ ტა- ნის ქალწულს.

მისი ძლივ საგრძნობელი სურნელება, ნიავის სა- რეკელზე გაწოლილი, ქრებოდა ცის ეთერში.

და თავისებურათ ნეტარებდა ეს არე-მარე. ნეტარებდა მარტივათ და ბუნებრივათ.

გარევე მარტივი იყო სალამურის კილოვნება, კაცის გრძნობით შეთამაშებული და ლერწმის ტანით ათრთოლდებულთ.

მისი გამონაკენსი მხოლოდ დაუწყაყოფილებე- ლი მწყემსის სიყვარული იყო, მისი გამონასტენი — ბუნების მშვენიერების წინაშე განცვიფრებული თავ- დახრა.

თიკო და ზურაბი მიუყვებოდენ აღმართ-აღ- მართ.

თიკოს მაღალი ტანი ლურჯ სივრცეში თეთრად ნაკეთიერდებოდა.

ზურაბი შეწყვეული იყო ამ ტანს, მის ყოველი- ვე სანდომიან მიმოხრილობას... მხოლოდ თვალებით.

გულით და გრძნობით, ნდომით და სურვილით კი ჯერ ისევ იბნდებოდა ამავე ტანის შორეულობით. მიუღწევნელობის ტკბილი და მწველი სახმილი ჯერ კიდევ ვერ ჩაექრო.

ამასთ მიემართებოდა თიკო წვაყვებულ მისს ფერღობზე. მისი შკერივი გულ-მკერიდ ლაღათ და უნიანათ მიაბობდა ჰაერს, თითქო გრძნობდა ძალას საუცხოვოს მისი სიყმაწვილისას, ქალწულებრივ და-მოუკიდებლობას მისი სხეულისას.

სხივრების ფოლადის ფრთა ეტყობოდა არ მოხვედროდა უტკო ქანდაკებასათი ჩამოსხმულ მის მხარ-მკლავსა.

იყო ზვიადი მისი წინ-სვლა, იყო დედოფლური მისი მიხერა-მოხერა.

ზურაბსა და თიკოს ქვემოთ კიდევ მოდიოდენ აღმაინები: დედა თიკოსი ხნიერი და სახიერი ელი-საბელი, ფაცია და ციფალუქი თიკოს ახალგაზდა ამ-ხანავი ქალები, სანდრო და ისონ ახალგაზდა ყმა-წვილები და ტიტკო, ჩოფურა, ჯგუზი ვაჟაკი უბ-რალღო შავის ხალათით და ჭილოფის ქუდით გამო-წყობილი.

ესენი ყველა ქალაქიდან გამოქცეულნი იყვენ. ქალაქის სიციხისაგან, ქალაქის მტერისაგან.

ავარაკათ იყვენ ამ მთის ფერღობზე შეფენილ სოფელში.

ტიტკოს ჯგუზ და ჩოფურა სახეს ეტყობოდა უქმყოფილებსა.

იგი ვაჭუმებული ბოროტის სიხუმითა, ნაწყენი მოადგამდა მის მტეიკე, მაგრამ ცინიანურს ნაბიჯს. — აი, ბ. ტიტკო, ხომ კარგია აქა?.. ჩუ, გეს-მით სალამური? — უთხრა მას ფაკიამ.

ტიტკო ჩუმით იყო, მხოლოდ მის თვალებში ცულმა ნაპწყიალმა გაიელვა.

— ტუყილა არ გინდოდათ წამოსვლა! — დაიწყ-ყო ესლა ციფალუქმა — გროლა, ნიაგია... მოდი აქ ჩამოესხედით, ბ. ელისაბედ!

— ჰო, მართლაც დავიღალე! — ქმენით წარ-მოსთქვა ხნიერმა ელისაბედმა და იქვე მალღა აუუ-ღებულ და ფართო შტოებიან წოფელის ქვეშ ოხ-ვრით ჩამოჯდა.

ახალგაზღობაც მიღავდა ხის ძირში.

— თიკო და ზურაბი რომ ვაგვექცენ? — შეიკ-ვირვა ისონმა.

— წავიდენ! ისინი პოეტები არიან! — უპასუხა სანდრომ.

— დაიკათ, სალამური! — გააჩუმა ყველა ფა-ციამ.

და ყველანი მიეცენ სიხუმეს.

მზე უკვე გადახარა.
უკან ცამდე აზნექილი, ბუმბერაზი მთა, თით-ქოს სასირცხო რამ სურვილით. შხისგან უკანასკენ-

ლათ გაწითლებული, ჩაყლაპვას უპირებდა ამაყ მზეს.

ქვევით კი, შორს, ლურჯ-ყუიღლით მობიბინე ყანები ერთხელ კიდევ ცდილობდენ მათი ფართოთ გადაშლილი ზურგი მოქარგნათ შხის ოქრო-მყედით.

შორეულმა მდინარემ კი უკვე მოიბურა საღა-მური, ლურჯი პირ-ბადე.

სალამური შესწყდა.


ცხვარი ჩაიშალა ფერღობში.

გვანდა თითქო მთის თეთრი ქვები ამოძრავდენ და ნელის გოგმანით მიგორავდენ თავდაღმართში.

პაერში ვანსასვენებელი, რაღაც იღუმბალი ჰარ-მონია გიბნა.

ხის ძირში მსდომნი ყველა თავის ფიქრს მო-ეცვა:

— ელისაბელი ჩაპყურება ქვევით სოფელს და ამ საღამოს ზემში მას თავისი წარსული თვალთა წინ ეფენებოდა. აი შორს, ყანებს იქით ჰაწია გო-რაკზე, მამამათის ძველი, ერთ-სართულიანი ქვითკი-რის სახლი. მამა დღივ ხანია აღარ არის იქ; წაი-ღა უკეთესს ქვეყანაში... ეხლა იმ სახლში მისი უმ-ცროსი ძმაც, ესტატე — დედელი... ცოლ-შვილით და-ტვირთული, მოვალეობით დამძიმებული. საცოდავი! პირველ ხნათ კარგათ მიუღიოდა ესტატეს საქმე, მაგრამ ამ მოძრაობის შემდეგ... მართალია ცოტა გამოუკლდა, მაინც ის აღარ არის, რაც იყო... არც იმდენი შემოსავალი, არც იმდენი პატივის ცემა სოფ-ლისაგან. სასულიერო მთავრობაც, რომ ყურადღე-მას არ აქცევს... ესტატე ღირსეული მღვდელია, ნა-სწყავლი, სემინარიელი... მაგრამ აქამდის ბლაღოჩი-ნობა მაინც არ მიუკლათ, ისევ იმ მამებლარს ყრუ-აშვილსა აქვს... ფოფოლიამაც ხომ, ჩემმა რძალმა, გააპირვა საქმე. სული ამოართვა, სული საწყალ ეს-ტატეს... მისი ჭირიმე!.. მერე რა კაცია, რა კარგი, რა სათნო... ბავშვობაშიც... ოო, რამდენი ტყბილი წამები მახსოვს იქ, იმ გორაკზე... საწყალი მამა!.. დამსახურებული დეკანოზი... შივლის საექსარხოსო-ში ისეთი დარგილოვებული არავინ იყო... ექსარ-ხოს ისიდორედან მოყოლებული ყველასაგან პატი-ეცემული იყო... ჩვენ შვილებიც ღირსეულათ აღ-ვზარდა. ესტატე სემინარიაში იყო, მე კიდევ ეპარ-ქიალურში... ჰმ... რა მშვენიერი იყო ეს ხანა... მახ-სოვს, სამღვთო სჯულის მასწავლებელი რუსი — მღვდ-ელი... ქრისტეს სახე ჰქონდა... რა თვალები!.. ღმერ-თო, ღმერთო! ლამის ამ თვალბისთვის მონაზვნათ არ წავედი... სამარალო დედ-მამა! რამდენი აღელვე-ბა ვანიცადეს მაშინ... ძლივს ვადამაქმევირეს მო-ნაზნობა... იმ მღვდლის წირვაზე აღტაცებით მივდიო-



დით ხოლმე ეპარქიალისტები... მუხლ-მოღრეკილნი, თავდაბრიდნი ცხარე ცრემლათ ვირღვნიდით... რა გეტარებდა?.. არა, ნამდილობა გვიყვარდა, შეყვარებულნი ვიყავით... ჰა, ჰა! მხოლოდ ერთი მეორის არ ვუშედიდით, ყველა დღის მოსაობას ვეფარებოდით... მხოლოდ, როდესაც ქადაგებას დიწყებდა!.. ღმერთო, რა მემართებოდა... არა, ეს რაღაც ლეითური ამალგება იყო... სწორეთ! თუმცა შემდეგ, მონაქცეზე, როდესაც გავიგეთ ამ მშველდის ისეთივე ბიწიერება, როგორც სხეულისა ო... ო, რა საშინელი იყო ჩემი ტანჯვა, ჩემი სირცხვილი... მაგრამ რათ არის, რომ ესღაც კი ის პირველი ვატაცების წუთები ჩემს ბებერ გულს ეგრე ხუთავს და ეგრე ტკბილის ტკივლით კუმშავს და შლის... თუ საზოგადოთ წარსული ტკბილი მოსაგონარია... მაგრამ არა! — საწყალი ვლიზბარ, ჩემი ქმარი... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს... ბევრი ტკბილი დღეები უჩვენებია ჩემთვის, მაგრამ... ღმერთო შეგცოდე... მე არ ვიყავი კმაყოფილი მასთან ცხოვრებით... არც აზარათი მასხნდებდა... ჰმ... პირველათ რომ მოვიდა, მასწავლებლათ ვიყავი მამინ... მამა როგორ მარტყებდა: „შვილო, მდიდარი კაცია, ნუ უფულეზელს ჰყოფო! მართალია ვაჰარი კაცია, მაგრამ ისეთი არ გეგონოს ჩვენს დაბაში რომ არიან, ეგ ნაწყავლია, ვეროპილათ განათლებული ვაჰარი... ეგ სულ სხვაია! მართალია ცოტა ხნირიც არის, შექადრავებოდა“... ორმოცდაათ წლის იყო მამინ... „მამინც, შვილო, მაგასთან ბედნიერი ცხოვრება გექმნებაო!“... მეც ვერა ვაბებდე-რა... მეტათ მიყვარდა მამა ჩემი... მორჩილი შვილი ვიყავ... რა იყო შემდეგ ჩემი ცხოვრება?... რამდენჯერ ჩავფიქრებულვარ, რამდენჯერ მიტრიალებ... საწყალი ელიზბარი სულ თავს მეფლებოდა... გულის ვაფლა იყო საბრალო!.. უბრალო ჩემი ჟინიც კი აუსრულებელი არ დარჩენია... პეტრებურგიც კი მაჩვენა, საუკეთესო კურორტებიც არ დაუკლია... მაგრამ, ღმერთო, რათ იყო ჩემი გული ზაინც ცალიერი?... არა, არასოდეს არ მიდლატნია... მხოლოდ სურვილი და ნდობა ზაინც მისკენ არასოდეს არ მიზიდავდა... მუდამ განზე, სხვისკენ ვაიყურებოდა... მხოლოდ ეს სხვა არასოდეს არ ხორც მესხებოდა... ის იყო მხოლოდ ჩემს გულში, გრძობაში... ეს მანამდე, სანამ თიკო არ მეყოლა... ვენაცვალე!.. აქ კი დასრულდა ყოველი... ალარც სხვა და აღარც საბრალო ელიზბარი... თიკამ ჩანთქა ჩემი არსება... მე ეხლა ვერც კი ვამომიკნია თიკო მე ვარ თუ... რომელია? ვიღამაც მითხრა ესეთი სიყვარული არ შეიძლება... ო, რა გავბრაზდი!.. რა იცის იმ სულელმა თუ რა არის დე-

დის გული!.. ჩემი თიკო, ჩემი ამაყი, ჩემი გოროზი თიკო...

ელისაბედმა თითქო შემწინებულმა მიიხედა იქით, საითაც ზურამ და თიკო იყვნ წასულნი, მაგრამ ერთი ამოიოხრა და თითქო ისევ დაუბრუნდა თავის ფიქრებს.

სულ სხვა იყო მიზეზი ახალგაზდა ციფალუქის ფიქრების: მან ერთ ხანს უფლო ყური სალამურის ნარნარ ბგერას და იასონის თვალებისკენ ვაიწია მისმა ნდობამ. ახალგაზდა ქალის გულსა და გრძობაში იმბეზოდა ისეთი ნაზი სიმთა ხლართი, რომლის ერთი ვამაურება უსათუთ იასონის გულის ძგერას უნდა შეხმატკილებოდა და ეს შეგნება ტკბილ ნაკადულით უფლდა თეთრ და ბრკილა კან ქვეშ ლურჯათ გამოჩენილ მუფუქე ძარღვებს.

იასონს კი შიშველი თავი მიეშვირა ცელქ ნიკისთვის და ციფალუქის ნახათ, მომზობლევლათ მიღწეაზე გულ-მკერდს ჩასტკერებოდა.

აქ ერთხელ კიდევ ბუნების საიდუმლოება ტრფიალების ბადესა შლიდა.

თუცა კი იჯდა გარინდებული და მის მოკუმულ ტრფებს, ნატრებს, მაგრამ უკნეს სახეს მიუკარებლობა წარწერილივით გამოეფინა.

სანდრო ცოტა მოშორებით გულ-აღმა ბალახზე მიწოლილიყო და იმაზე ფიქრობდა, თუ ყველა აქ მყოფი როგორ სხედასხვა ნაირათ განიკლიდა ბუნების სანახაბას, რომ ყველასათვის საითთეულით ეს სანახავი სხედასხვა იყო, სხედასხვა გვარ სანგძნობი და განსაკდელი. სანდრომ იგრძნო, რომ აქ ყველა უცხო იყო ერთი მეორისა; რომ თითოეული მათგანი იყო განსხვავებული, დამოუკიდებელი ერთი მეორეზე; რომ მათ თითქმის საერთო არა ქონდათ-არა. და საერთო მხოლოდ იმითღო კი არა, რომ თითოეულს მათგანს თავისი ან ვარამი ქონდა ან ლხენა, არამედ იმითიც, რომ ამ მუწურად განმხადებულ, ლად ბუნებისაც სხედასხვა გვარ ესმოდა თიროველ მათგანს.

სანდრომ ციფალუქსა და იასონს თვალი გადაავლო:

— აი, შეიძლება ამათი განცდა კი ერთ-გვარი იყოს. მაგრამ ამათ ხომ ერთი მეორისადმი ლტოლვა აერთებთ, შეიძლება უკვე ჩასახული სიყვარულიც... ოო, სიყვარულმა კი ძილიან შეერთებო იცის... აი, ამისი კი არ ვიცი... აქ შეიძლება ცოტა მოკუქლოს ჩემმა თიკომამ. ისე კი ყველანი სხვა გვარ განიკლიან. ერთი მეორეზე განსხვავებულათ...

ამ უჩანასკნელ სიტყვებს ხაზი გაუსვა სანდრომ

თავის გონებაში და საკვარველი სიამოვნება იგრძნო, თითქმის ახალი რამ აღმოაჩინაო.

აქ კი შეწყდა მისი ფიქრთა ჯარი და გულ-აღმა მყოფი წამოაღდა. მისი კურადღება ტიტოკომ მიიქცია. ტიტოკო უკვე მჭერმეტყველობდა.

მხატვარი

(შემდეგი იქნება).

მრი სიტყვა

რედაქციისა.

საქართველოში წმინდა ხელოვნური ჟურნალი ვერ იარსებებს, მას ჩვენში ნიადაგი არ აქვსო—აი ის სიტყვები რომელიც გვესმოდა ჩვენ იმ პირთა უმრავლესობიდან, რომელთაც ჩვენი ჟურნალის დაარსების განზრახვა გავუშვალავენო.

ამგვარი გაფრთხილება, სჩანს, უნდა მიგველო მხედველობაში და ჟურნალის დაარსებაზე ფიქრიც უნდა დაგვეწყვიტებია. მაგრამ გრძობა იმისი, რომ ჩვენი დაწყებული საქმე, კოტათი მიანიც შესძლებს იმ საკითხების გამოარკვევას რომელთაც უნდა გადაწყვიტონ ბედი თანამედროვე ჩვენი ხელოვნებისა, უფრო მაღალი და ძლიერი გამოიჩნდა შედარებით შიშთან.

ჩვენ არ შეგვიძლია ვაგზუმდეთ როდესაც ვხედავთ რომ ჩვენი ქვეყანა თან და თან სცილდება ხელოვნებას, მთელი მისი გრძობა-გონება საზოგადოებრივ კითხვებს შეუბრკავს და იმათ იქით მისთვის თითქმის ყველაფერი ზედ მეტია...

მაშინ როდესაც რომელიმე დაწესებულების ფულით უმაღლეს სასწავლებელში მოკალთავებულა წმინდა უნიკო, უზნეო სტუდენტი, იურიდიულ ან მედიკურ ფაკულტეტისა, ჩვენს ქალაქებში ნიჭიერი ახლო-გაზღა პოეტს, ქუჩაზე ვერ ვაუვლია იმის შიშით რომ აგერ-აგერ ხელს სტაკებს იაუ ფასიან სასადილო დუქნის პატრონი და დარჩენილ სადილის ფულს მოსთხოვს. მწერალი, რომლის ნიჭი ყველასაგან აღნიშნულია, სიბერეების და შეიძლება სოკვდილამდისაც ვერ ხილულობს თავის ნაწერების გამოკემას. დარბი ახლოგაზღა რომელსაც იტაცებს ხატვის სიყვარული, იჩენს ხატვაში უნარს, პლაკატების მხატვრის მოწაფეობით უნდა დაკმაყოფილდეს.

ჩვენი მსახიობი, გარემოებით შეზღუდული, ჩვენს სცენას სცილდება და სხვაგან იჩენს თავის ნიჭს, სხვაგან აფრთოვანებს თავის ოცნებას.

და რამდენი სხვა უკუღმართი მოვლნა.

დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ მძლავრ სიხალეს ჩვენში ხელოვნების აყვავებისას, როდესაც ვგრძობთ რომ ჩვენი ხელოვნება დღით დღე იმატებს და იზრდება, ჩვენ გვინდა თამამათ ვთქვათ: ევმსახურებით ჩვენს დასახულ მიზანს, ერთი წუთითაც არ უღალატებთ მის სანამდის სულ არ მოგვესპობს საზოგადოების გულცივობა.

და თუ ჩვენს ცდას, სურვილს ჩვენი მოვალეობის ასრულებისას, ერთხელიც არ გაუღივმებ ბედი, მაშინ დავრწმუნდეთ ერთხელ და სამუდამოთ რომ თანამედროვე ქართველი საზოგადოება სასაფლაო ქვის ადებს „თანამედროვე საქართველოს“.

შოთა რუსთაველი.

რუსთაველის ძეგლი დრომ ააშენა და დროვე იცავს მას თავის საუკუნოებით.

ბინძურება ვერ შეახონ ხელი მის სიღიადეს, ბრბო შიშით ძრწოდეს მისი სიმძლავრის წინაშე, ბუნების ნიადავამაც ვერ გადალკეოს. ვერც მიწამ შთანიჭს ცემდე ასული.

ჩვენს სველით მოკულ ყოფნას აცისკროვნებს მისი ცეცხლის სული, მის სამშობლოს არსებასთან შედუღებული.

ვამს ეამი სტატებს იმის სიტყვას ხალხში აღმერთებს, იღუბალი ძალა იმის კალმისა გვიხატავს ჯერ კიდევ არ ნახულ დღეს.

სიყვარული მისი ყოველ გრძობას აღმატება, სილამაზე მისი ჯერ ბუნებაშიც უნახავია, რუსთაველის ადამიანი ჩვენ სწულს საუკუნოსათვის ზღაპრული არსებაა. მან იცოდა ყველითა ენა, ცის საიდუმლოება, ის რყო მზისა და მთვარის შეგზაბარა.


იგი უღაგამა სულს ქვათა და ხეთ, ვით ჯალღნსური ჰანგი ორთოისის ციური ქნარისა.

რვა საუკუნე ვაშორებს ჩვენი ხელოვნების ქურუმს და რაც წინ მიდის დრო მით უფრო საყვარელია ჩვენთვის საიდუმლოება მისი ენისა.

ბედმა რომ მოსპობა გვარგუნოს, და ყოველივე ჩვენი დავკარგოთ ეამისაგან შექმნილი ძველი მისი მანიც შეურყვევლად დარჩება, ვერა რა დანაგრევს მას.

და რა უნდა იყოს იმაზე სანეტარო რომ დღეს ქართველებს სურთ სული ჩაუდგან ამ ბუნებრივით გამოსახულ ძველს.

ამ დღილმა სურვილმა უნდა შეაერთოს მთელი საქართველო ერთის ფიქრით ერთის გრძობით. —ღიადი ხელოვნური ძეგლი დღად ხელოვნის.





ჩვენ უკვე ვიცით რომ თბილისში დაბრუნდა „რუსთაველის საზოგადოება“. საზოგადოების მიზანია უკვე აღნიშნული ხელი შეუწყოს ხალხში ჩვენი დიდი მგონის უკვე პოემის გავრცელებას და საზოგადოება მის შესწავლას. ამგვარ საზოგადოების დაარსების დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკი მეტია, ყველა ვგრძნობთ მის სარგებლობას. აქ გინდა მხოლოდ ვთქვათ რომ აუცილებელი საქართველოს ქუთაისშიც ამგვარი საზოგადოების დაარსებისა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რა თქმა ვერ შესძლებენ თბილისის საზოგადოების მიზანს, რადგან „გუფთების ტყაოსნის“ შესასწავლათ სპეციალური კონდა არის საქირო, მაგრამ ქუთაისისთვის ეს არ იქნება საძნელი, რადგან ჩვენ ქალაქში ბევრი მოიპოვება უკვე პოემის კარგი მკოდნი.

სასურველია რომ თბილისის საზოგადოებამ გახსნას ქუთაისში განყოფილება. მაშინ უფრო სოლიდარული იქნება მუშაობა. ჩვენის მხრით ეცდებით ყოველწლიურ დახმარება აღმოუჩინათ განყოფილების დაარსებას.

მაქსუტისა „თანამედროვე საქართველო“.

—ა

ჩვენი ღამაში სამშობლო, ედემი ამ ქვეყნისა, როგორც ამბობენ ჩვენი უცხოელი სტუმრები, ჩვენთვის შეგვიძლია თამამდ ვსთქვათ, ჯერ კიდევ უცნობია. სიღამაზის მოტრფილად უცხოელი, თავის სულის დასამშვიდებლად ჩვენსკენ ილტვის, თვრება ჩვენი მიღამოების მიუწოდებელ სურათებით, ჩვენში ეზიარება მზიურ სიხარულს, ჰაბუკურ ნეტარებას.

ნაშთებს ჩვენი წარსული დიდებისა ჩვენ უმეტეს შემთხვევაში სხვების სიტყვებით ვეცნობით, თვითონ კი ზედ-მეტათ ვთვლით მათ ნახვას, მათ შესწავლას.

დაე ფართო მასასთვის შეუძლებელი იყოს თავის ქვეყნის როგორც შესწავლა, მაგრამ მათთვის ვიზუალურად ჩვენ იმედებს ვამყარებთ, მათთვის ვისაც წილად ხელთ ჩამდგარიყვენ ჩვენი ქვეყნის შვილების მოწინავე რაზმში... მათთვის?

რამდენია მისთანა ახალგაზდა მგოსანი რომ შემოევიდოს საქართველოს საუკეთესო კუთხეები, რამდენია მისთანა ახალგაზდა მსახიობი რომ იკონდა სხვა და სხვა ტაბებს ჩვენი ხალხისას, ვის მოუსმენია ან მესმედი ჩვენი ხალხის კოლოკაეებისა.

რამდენს უნახავს ის ნეტარი კუთხე სადაც აკვანი ვადაერწო ჩვენი ქვეყნის უპირველეს შვილს

რუსთაველს, რამდენი ყოფილა იქ სადაც ვროვნება და დიდი ავტორი „განდგომლისა“ ან იქ სადაც მისი სისხლი დაინთხა, რამდენს უნახავს სადაც აკაკის გამოშვდელი სოფელი ან საჩხერე, მის მუდმივი საცხოვრებელი.

და განა ყოფილა ვინმე ჩვენს ახალგაზდებში იქ სადაც „ნაივს სევის“ ჩვენი მთების არიფი ვეა? თითქმის არააინ, ძალიან ცოტა. —ზავხული დედა და ბევრი ნიჭიერი ახალგაზდა მგოსანი უნდა დახუთოს მტერმა და სიციმე შავი ქალაქისამ, ნიჭერმა ახალგაზდა მსახიობმა უნდა დაუწყოს ძებნა სადმე დაბას რომ ვილიც უეციების დახმარებით, წარმოდგენა გამართოს, მწიერი არ დარჩეს. ამას რა ეშველება, ეს ჩვენში გამორჩეულების ხვედრია.

მაგრამ დრო გამოშვებით მაინც ვანახვით ხოლმე მათ ნამდვილი სიღამაზე, მთელი სიმძლავრე ბუნების სიღამადის.

მოგაწყობთ ექსკურსია „თანამედროვე საქართველო“.

შეგვიბობთ ახალგაზდა ლიტერატორები, მხატვრები, მემუსიკენი, მსახიობნი და ვანახვით ყველას ერთათ, ძმურათ, შეერთებულათ, სიმშვენიერე ჩვენი ქვეყნისა.

ეს საუკეთესო პატივისცემა იქნება მათი ნიჭისა, ეს უდიდესი სარგებლობა იქნება ჩვენგან მათ დამი მიინიჭებული.

ხალხი მადლიერი დარჩება როდესაც ვაიცნობს თავის მომავალ იმედებს. ყველა სიამოვნებით დაესწრება მათის მონაწილეობით გამართულ სალიტერატურო საღამოებს სხვა და სხვა დამებში და ქალაქებში. ექსკურსიის თავში მოსაწყობათ ისევე ქართველ საზოგადოებას უნდა მიემართათ. მართალია ამ მიზნისთვის ჩვენ მალე ვამართავთ ქუთაისში სეირნობას, მაგრამ ეს საფეო არ იქნება. შემოიტანეთ ყველამ თავ-თავის წვლილი თუ გინდათ მოუტანოთ უდიდესი სარგებლობა „თანამედროვე საქართველოს“. ქართველი პრესა იმედია დაგვხმარება და საზოგადოებას კრდე ვააცნობს მთელს საქართველოს ამ კითხვისას, ვინც მოისურვებს ამ საკითხზე თავისი აზრი გამოხატვას ან ექსკურსიის მოსაწყობათ წვლილის გამოღებას, ვთხოვთ მიმართოთ ჩვენს რედაქციას.

ბ. ბ. მოეკეთით ყურადღებით ჩვენს განზრახვას.

რა მოგვცა ჩვენ ღვიძლ ტოლსტოი.

ცნობილი ჟურნალისტი ა. ხირაკივი მიმართავს ჩვენს მკითხველებს თხოვნით, გამოთქვას თითოიმ გულწრფელად, რა მისცა მას ლეონ ტოლსტოიმ. ხირაკივი თხოვს ყველას, ვინც მოინდომებს ამ კითხვებზე პასუხის მიცემას, ნუ დაერიდებიან ლიტერატურულად აზრების გამოთუქმელობას, ნურც იფიქრებენ იმას, რომ მათ აღსარებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. საჭიროა მხოლოდ სიმართლე, საჭიროა მხოლოდ გულიდან ამონადები პასუხი კითხვაზე: „რა მომცა მე ლეონ ტოლსტოიმ, რა გავლენა იქონია მან ჩემ ცხოვრებაზე“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ქართველებშიდაც მოიპოვებინა მისთანებები, რომ ამ კითხვებზე შესაფერ პასუხს გასცემენ.

პასუხი გაიგზავნება ამ მისამართით:

Петербургъ, Васильевскій Островъ, 2 линия, домъ 13, Толстовскій, Музей, А. М. Хирякову.

გონაკო ოატა ქ. ქუთისში.

სასუე დარბაზი თეატრისა მკედარი სიწუმით ელის გონაკოს სტენაზე გამოხელას. შემოდის პატარა, ბავშვიით კეკლუცი ქალი. ვისაც გონაკო ოატა არ უნახავს, იგი უმეტესად კითხავდა თავის თავს, ნუ თუ ამ პატარა, მერცხლის მგენე არსებაში, ჰმეტქს ისეთი გრამობიერი გული, ნუ თუ ეს არის ადამიანი რომელსაც ბედმა ელეონორა დუზეს შედარებაც კი არ გუნა.

მაგრამ კმარა ერთი სიტყვა, კმარა ერთი ღიმილი ან სევდიანი სახის მიღება, და თქვენ დარწმუნდებით, რომ თქვენ წინაშე სდგას ნამდვილი ნიჟი, ნამდვილი მსახობა.

და რაღაც თავისებურათ მოქმედობს მაცურებელზე ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა, მისი ჩიტისავით ელურტული. ყველა ის პიესები, რომელშიდაც მსახობი ქალი უმთავრეს როლებს თამაშობდა ჩვენ მეტად სუსტ ნაწარმოებთ გვეჩვენება, რადგან მათში თითქმის არაფერი არ არის სტენიური, რაც უნდა იყოს მათში ვერ ვპოვებთ იმ სიხსლეს რომელსაც უკანასკნელ დროში ევროპის თეატრი განიცდის.

პირველ დრამაში „თვითმკვლელობაში“ განაკო ოატამ ო-კიუს როლი შესარულა. როლს დრამატული ელემენტი სჭარბობს, და აქ მსახობი ქა-

ლი იჩენს მთელს თავის სიძლიერეს. ძვირათ გვინახავს თვითმკვლელობის სურათის ისე ძლიერათ დახატვა, როგორც ეს ოატამ შესძლო. აქ ყველაფერი ბუნებრივი იყო. შთაბეჭდილება ერთი ორათ გააძლიერა კისრიდან რაღაც მანქანებით ვაღმობეთქლება სისხლში.

პიესაში „ჩაის სასმელი სახლი“ განაკო ოატას კურტიზანკის როლი აქვს, აქ მსახობი ქალი ჩემის ფიქრით ბევრათ უფრო სუსტია. კურტიზანკის სანდომიანობა, მომხიბლველობა მის სრულიად არა აქვს.

სამაგიეროთ კომედიაში „ოატას მსახური.“ იგი ზედმიწევნით კარგია. გონსკი ცოცხალი, ბავშური ეშმაკობით საცემ მსახურია, და განაკო ამ როლისთვის თვით თავის ბუნებით და ვარგელობით არის შესავალი. მსახობ ქალს მეტათ სუსტი პარტნიორები ახლავს. მათ შორის მხოლოთ კაკაშურა სატრფიალო როლების ამასრულმებელი მოგვეწონა.

ოქროს ვერძის ქრონიკა.

— 22 მაისს შესრულდება 100 წელაწადი მსს შემდეგ, რაც გადაიცილა გენაღური ვერძიანი კომპოზიტორი რახარდ ვაგნერი გამონახილა აუტორი ოპერებს: „ტანგეიზერი“, „ლეოსგრანა“ ტრისტანი და იზოლდა“ „ბუქლი ნიბელუნგისა“ და სსუ.

— ენაბილი ლექტორი გრ. რამაქიძე 22 მაისს მართავს სლამოს მსატრულ კათხვისს ქ. ბათუმში. დაქქიას ვრდა რამაქიძე წაკითხავს თავის მსატრულ ნაწარმობათ. ლექტორს თან ახლავს ახალგაზდა ზოეტი ა. გრამაშვილი.

— გრ. რამაქიძე მართავს აგრეთვე სლამოს მსატრულ კათხვისს ქ. ქუთაისში.

— დათო კლდამაშვილს დაწერას ახალი ერო მოქალაქიანა ზაქის და მოახრბოს. ზაქის გავხარნილია სავსეხუროთ კომპიეტუმი, სლათ მოთხრბას ჟერ შუუსწონებელია. მოთხრბობს ზატრევემული აუტორი „ოქროს ვერძს“ დახარდა.

— რ. დათუშიძე შუედგა ახალგაზდა ზოეტის გ. ტამბაის დაქქივას გამორეშას.

— როგორც გავიგეთ ახალგაზდა ზოეტი ა. გრამაშვილი დაქქივას ხალხურ ზღაპრს ეთერანსს.

— ს. აბაშვილი მუშაობს ქსლად დიდ ზოემაზე.

— დ. გასარაძე მამუკოზარება ვერძაში სწავლის გასარეკლმებათ.

— ამ მოკლე სანში „გრამაფონისა სსოკოდავას“ გამაქმებს გასსიყდლათ ფირფიტებს, რომელს ზედნ ჩუ-

ნი დღეა მგონის აკაცისაგან ნათქვამი თავის დეკლები და სიტუებები იქნება ნაწერად.

— 7 წლის უფრო ძველებში უფროსი შემდეგ რუსეთში დაბრუნდა ცნობილი პოეტი კ. ბაქმიანი. მას მის- კომში დიდის აღტაცებით შეხვდა საზოგადოება. „წრემ თავისუფალ ესტრეიასიმ“ გაუმართა მას სცამთა, რა- მელზედგ მთავალი საზოგადოება დაესწრო. ვ. ბრუნო- ვი, ა. ბაქტრუშვიანი და სხ. მიუგებენ დადის აფრთხ- ვანებით თავის საყვედრო მეგობარს ბაქმიანს ესება სუფილის მურადყოფიანს სპექტ. მაგრამ პოეტს არ ეპინათა სასმართლსა რადგან, რაჯორც თვითონ მან თქვა, ავი დასიტკარვის რომ მას უფროს დემოთა.

— ცნობილი რუსმა მწერალმა მ. არდინამევი და- წერა მოთხრობის სადაც უმოთხროს როდეს ქართველი თავა- დი თამაშობს.

— ამ საფრულებე საქართველოში ელიან ახალგაზდა ნაქაერ ჩვეს თანამემამულე ზანისტ ჟანდადარს.

— როჯორც გუაგეთ ჩვენი სვენი მისხობა ქა- ლა დესპინე იგანამისა ძაღან უმქო მდგომარეობაში უოფელა. ჩვენი სირცხვილდა რომ ჩვენი სვენი ნაქურა კორნელდა ასეთ მდგომარეობას განაგდას. საზოგადო- ბის მოვლელადა დაესმაროს მას.

— დღეს თბაღისის სასაღესი სასეში ფრად სან- ტურესი სადამის მართავს ახალგაზდა პოეტი ვ. რუ- ხაძე.

— თემის თანამშრომელა მ. წულუკაძე ამ ჟამთ პრფინიამო კითხვლამს დეკლას: „საქართველის ლა- ტურტუას მე XIX საუკუნისა.

რაღენიმე დეე ქეთასისო უოფისი შემდეგ აჭაჭა გაუმზაურა წაღტუების სადაც სმი კერემლის დარქუა,

— გაბრეულ ეპისკოპოსისა ცხოვრება და მოღვა- წეობა მედლას მეღატონ კლენეჩერისის მედენილა გამო- ვა მისის დამდეგს და თანობისთვის პირველ რიგებში დაურთავება ხედის მომწერლებს.

— 22-26 მასამდის თბაღისში მართავს წარმოდგე- ნების მოსყოფელა Cabaret „ლეტუჩია შამ“ (მეღამურა). დასმა ართ სუფიელის მისხობა ქალათ თეღლებს ჩვენი თანა- მემამულე სანთა მესხიშვილის ასუელი ვლ. ალექსი- მენიშვილის უმოფრისა ქალა.

— უფრად გახუთების კანტორა „მოქრეთის“ გამ- ბე ის. კვიტრისეს ზოლოდინამ უჩვე დავორუნს ახნარში სანგენურთ კომბატურების მიერ დაგაგებულა აკაცის ნაწე- რების 2 ტომი, რომლიდანჩა ქეთასისს საოლქო სასამ- რთლეს დადგენილებით ამოტრეს ავტორის ახალი პოემე- „გორანტავა და მისა დრო“ 64 გვერდა.

გამომცემელა ამ ამოტრალი პოემის მიგებ ბეგ- ლას ამ წაბში აკაცის სხვა ნაწერებს და ამ თემატა- მიუჭებს განსაღათ და ხედის მომწერლებს დასარბე- ბლად.

— თადეერ უორდრობის მიერ დასრულებლ ბიბლიოტე- კაში უჭებ ცაგ ხაგის ძიღორე კვიტრისემ რაღენიმე თუ- მის წაბში.

— უსახრობის გამო დაამდა ქეთასისს მსახარობა მსახარობა.

— ბიღისი ვინდათ რომ პირველ ნომერში განცხ- დებების დაბეჭდა ვერ მოვასწარით.

რედაქცია კორპოლობს პასუხი მისცეს მსორ- ველთ ლიტერატურულ, ხელოვნურ და კრიტიკულ საკითხებზე. ვინც საპასუხოთ მარკებს არ წარმოად- გენს პასუხი თურნალოში დაიბეჭდება.

უფრანლოში რეკენზიის მოთავსებისათვის გამო- მცემლებმა უნდა გამოგზავნონ ორ-ორი ექსპლიორი თავის გამოცემისა.

ჩვენის ფოსტა.

არ დაიბეჭდება: ლამის ჰინი, ოცნების ნავი, გამორიყულნი, მიქრის ფაბი, გაზაფხული (კ. ა—ძის), მე წინ ვისწარაფვი, გრდემლის ცრემლები, მერცხა- ლი, მწირე ფიქრები, გაზაფხულდა (ა. მ—ილიანის), სატრფის საფლავზე, ბნელ ღამეში, ჩემი ცრემლ- ბი, ოცნების მხარეს (გ—ელის)...

არ დაიბეჭდება აგრეთვე კორესპონდენტები სამტრედიდან, ქიათურიდან, ფოთიდან, შორაპნი- დან და სხვა.

ვისაც არ სურს პასუხი ფოსტით მიიღოს უნ- და მოგვაწოდოს წერილთან ერთად საპასუხო მარ- კები.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- რუსთაველის სურათი.
- ლექსები: ს. აბაშელის, ვ. რუხაძის, იასამი- ნის, გ. ტაბიძის, კ. აბაშის—ელის.
- ტ. ტაბიძე—კოლხიდაში.
- ს. კლიაშვილი—იყავით მარტო.
- ლევო ქიანელი—ვაი რომ მართალია.
- შოლეა დალიანი—ტყვე.
- ორი სიტყვა—რედაქციისა.
- შ. რუსთაველი.
- ექსკურსია „თანამედროვე საქართველო“.
- რა მოგვცა ლეონ ტოლსტოი.
- გონაკო ორტა ქეთასისში.
- ქალბოკა, რედაქციისაგან, ფოსტა და სხვა.

რედაქტორ-გამომცემილი. ბ. ჯიანი.

„ოქროს ვერძი“

მისამართი:

Кутаись, Казаковский пер.
„ОКРОСЬ ВЕРДЗИ.“ ქუთაისის დასაკეთი ფასი უნდა გამოიგზავნოს კანტორის სახელზე. ტელეგრაფებისათვის: Кутаись „ВЕРДЗИ“

ყოველკვირეული ჟურნალი „ოქროს ვერძი“ გამოდის 19 მაისიდან

ჟურნალი ემსახურება ლიტერატურას, ხელოვნებას და კრიტიკას. თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ყველა ჩვენი გამოჩენილი თანამედროვე მწერლები.

წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **დამატებით** კრებულები ჩვენი აბონგაზდა მგონების და ბელეტრისტიკის ნაწერებიდან შედგენილი.

მიიღება ხელის მოწერა.	1 წ. 6 თ. 3 თ. 1 თ.	საზღვარ გარეთ ერთი-ორათ.
	5 ჰ. 2 ჰ. 1 ჰ. 40 კ. 50 კ. 50 კ.	

განსახდებები მწერიკებით. ცალკე ზ. ყველაგან 1 ჰ.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.